ვლადიმერ გარიძე პროფესიით გერმანისტი არ არის. მან წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ვლ.გარიძემ თითქმის დამოუკიდებლად უმოკლეს დროში სრულყოფილად შეისწავლა გერმანული ენა. მისი ინტერესების ფარგლებში შედის ლიტერატურა, ფილოსოფია, მუსიკა. საერთოდ, მრავალმხრივი, ღრმა ცოდნით, დიდი ერუდიციით და სიმკაცრით გამოირჩევა. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი დღევანდელი აზარკაზრდობის ლამის ტოტალურ ინდიფერენტიზმს მრავალმხრივი და ღრმა განათლების შეძენის მიმართ, მისი ასეთი წარმატება ცოდნის მრავალ სფეროში, მეტი რომ არ ვთქვათ, ძალიან სასიამოვნო მოვლენაა.

ვლ. გარიძე თარგმნის გერმანულიდან ქართულად, ქართულიდან რუსულად, ქართულიდან გერმანულად. გამოქვეყნებული აქვს თომას მანისა და რილკეს მოთხრობების ქართული თარგმანები, მალე უნდა დაიბეჭდოს მისი რუსული თარგმანები ქართული და გერმანული ენებიდან, ამგადებს რ.ინანიშვილის მოთხრობების კრებულს გერმანულ ენაზე.

ამჟამად იგი დარწმუნებულია, რომ შესწევს ძალა სრულყოფილი თარგმანები მიაწოდოს როგორც ქართველ, ასევე რუს და გერმანელ მკითხველსაც. მე დღეს იმის დასაბუთებასაც შევეცდები, თუ რამდენად არასწორია ამგვარი ლიტერატურული პრაქტიკა. ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ერთ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს არათუ სამი, არამედ ორი სამშობლო ენაც კი.

განსახილველად წარმოდგენილია გოეთეს "დიხტუნგ უნდ ვარჰაიტის" პირველი სამი წიგნის თარგმანი. ამ ნაშრომს გულმოდგინე მუშაობის კვალი ატყვია. ~~ესმის~~ ესმის ორიგინალი, შეცდომით ამოკითხვის მაგალითები ცოტაა და შემთხვევითი ხასიათისაა /თუმცა ამის გამო ეს ლაფსუსები სულაც არ არიან მისატევებლები/. მოკლედ, რაც შეეხება ორიგინალის ტექსტის სწორად გაგებას, ამ მხრივ მთარგმნელი ნდობას იმსახურებს. მაგრამ როგორ ახერხებს იგი გერმანული წიგნის ქართულად ამეტყველებას? შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი ადგილი თარგმანიდან, რომლებიც ბუნებრივი, ნათელი ლიტერატურული ქართულის მაგალითებს წარმოადგენენ, ამოგვეწერა ისეთი ფრაგმენტები, რომლებიც ქართული ენის სტილისტიკის პოზიციებიდან არ დაიწუნებიან. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით

SOVLAB

რაიმე განსაკუთრებული აუნიშვნის ღირსი აღგილების მოძებნა ჭირს. ენობრივი ფენომენის მიმართ შემოქმედებითი მიდგომის მაგალითები არც ისე ბევრია. ~~ყველ~~ ასეთი ნაწარმოების თარგმნისას კი ამ მიმართებით მრავალი სიახლე იყო მოსალოდნელი: მსოფლიო ლიტერატურის შედევრების თარგმანას ის სიკეთეც მოაქვს ხოლმე, რომ ხელს უწყობს იმ ენის განვითარებას, გამდიდრებას, წინსვლას, რომელზეც ეს თარგმანია შესრულებული.

ვფიქრობ, ვ.გარიძეს სწორად მოიქცა, რომ ამ თარგმანზე მუშაობის გაგრძელებამდე მიგანშეწონილად ჩათვალა მოესმინა სხვათა აზრი უკვე შესრულებული ნაწილის ავკარგიანობის შესახებ. ეს მისი, როგორც მთარგმნელის კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს. როგორც ჩანს, მას გათვალისწინებული აქვს ამ საქმის მთელი სირთულე. იმედია იგი გულისხმიერებით მოეკიდება იმ შენიშვნებს, რაც აქ გამოითქმება მისი ნაშრომის მიმართ და გაითვალისწინებს მათ თავის შემდგომ მუშაობაში.

ჩემი რჩევა იქნება მან მეტი ყურადღება მიაქციოს მშობლიური ენის სტილისტიკას. იგრძნობა, რომ იგი ამ სფეროში ჯერჯერობით მოისუსტებს, ხშირად ღალატობს ენის გრძნობა. პირადად ჩემთვის სავსებით ნათელია, რომ ამის მიზეზი არაქართული ენებით მეტისმეტი გატაცებაა. მინდა მას მოვაგონო, რომ ჩვენს დიდ მწერალს და პოლიგლოტს კონსტანტინე გამსახურდიას არაერთხელ გაუხსენებია უცხო ენებზე დიდი ხნით საუბარს ვეკრძალები, შეგნებულად ვერიდები, რათა ქართული ენის გრძნობა არ შემისუსტდესო.

ახლა უფრო კონკრეტულად.

48-ე გვერდზე ასეთი ფრაზაა: "...ბოლოს დავანგრიეთ ისიც, რისი გაკეთებაც ნამდვილად შეგვწევდა".

"გაკეთება შეგვწევდა" - ქართული ენის კანონების მიხედვით ასე თქმა არ შეიძლება. აქ რაღაც აკლია. კერძოდ, აკლია სიტყვა "უნარი" /ან "ძალა"/. უნდა იყოს: "რისი გაკეთების უნარიც ნამდვილად შეგვწევდა". შეიძლება ეს შემთხვევით დაშუშაც ან გადაბეჭდვისას დაშვებული კორექტურული შეცდომაც ჩაგვეთვალა, მაგრამ 68-ე ვაწყებით ანალოგიურ ფრაზას: "...არასგზით არ შემ-

SOVLAB

წევდა უმტკივნეულოდ ამეტანა მაგვესიანი სიტყვები". აქაც აკლია "უნარი".

სამაგიეროდ ეგევე "უნარი" სხვა ადგილას ისეთ სინტაგმაში გვხვდება, სადაც იგი სწორმეტყველების ნორმების მიხედვით არ უნდა ვიხმაროთ. აი ეს ფრაგაც: "...გამომიმუშავა გარკვეული ტექნიკისა და ფანტაგიის უნარი" /გვ.48/. "უნარი" აქ მიემართება როგორც ფანტაგიას, ასევე ტექნიკას. "ფანტაგიის უნარი" შეიძლება, მაგრამ "ტექნიკის უნარი" არა. სწორია "ტექნიკის გამომუშავება".

69-ე გვერდზე ვკითხულობთ: "...სრულებითაც არ მქენჯნის სირცხვილის გრძნობა". "ქენჯნა" მხოლოდ სინდისზე იქმის, სირცხვილის გრძნობას კი ადამიანი განიცდის.

ამ გამოთქმებში უახლოეს მომავალში არავითარი ცვლილება არ არის მოსალოდნელი. ესენი მყარი ფრაგეოლოგიზმებია და ისევე უნდა ვიხმაროთ, როგორც აქამდე იხმარებოდა.

მთარგმნელს ხშირად უჭირს ფრაგაში "...ც კი" ნაწილაკის ადგილის სწორად მიგნება. 47-ე გვერდზე ასეთი ფრაგაა: "ახლა, როცა დაწვრილებით ვიაგრებ ყოველივეს, ვპოულობ პუბლიკისადმი უყურადღებობისა და გიგჯის ჩანასახსაც კი". ფრაგა სხვანაირად უნდა აიგოს: ამკარაა "...ც კი" "გიგჯს" მიეკუთვნება, მაგრამ "ჩანასახი" "უყურადღებობასაც" ეკუთვნის და "გიგჯსაც".

ხშირად ყურს ჭრის ერთ წინადადებაში გმნების ფორმათა შეუთანხმებლობა: მაგ. 46-ე გვერდზე ვკითხულობთ: "...ეს ხაღხი ნამდვილად სამართლიანი უნდა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო , ყველაფრის შეფასების უნარი რომ შ ე ს წ ე ვ ს ." "ყოფილიყო" და "შესწევს"! ცხადია უნდა იყოს "შესწევდა". ესეც ვერ ჩაითვლება შემთხვევით ლაფსუსად: გმნის ფორმათა ამგვარი შეუწყობლობა ხშირად გვხვდება ამ თარგმანში. გარდა ამისა, აქ დამოკიდებული წინადადების ბოლოში დასმა არ არის სწორი. ფრაგა სტილისტურად რომ გაიმართოს, აქ საჭიროა დამოკიდებული მთავარს შუაში ჩაერთოს, ასე: "...ეს ხაღხი, ყველაფრის შეფასების უნარი რომ შესწევდა, ნამდვილად სამართლიანი უნდა ყოფილიყო".

66-ე გვერდზე არის ასეთი ტავტოლოგიური ფრაგა: "სანამ შავშვები ერთად ვიყავით, პ ა ტ ი ო ს ნ ა დ ვერთობოდით წ ე ს ი ე რ ა დ".

გვხვდება ამა თუ იმ სიტყვის არასწორად ხმარების შემთხვევები.

SOVLAB

6-ე გვერდზე ვკითხულობთ: "ერთი მეორეს მიყოლებით ვერიდი რიყეზე ლამ-
პაქებს..." "რიყეს" ნაცვლად აქ შინაარსის მიხედვით უნდა იყოს "ქვაფენილი".
რიყე მდინარის ქვიანი ნაპირია.

ან კიდევ: "-დიახ, ეს პარტიულობით გაჟღენთილი სულია ყველაფრის ავან-
ჩავანი..." /25/. აქ "ავანჩავანი" სრულიად უადგილოა.

ახლა ვნახოთ ასეთი ფრაგა: "...საიდუმლო მოღვაწეობას შევუდექი, რ ა
ა რ ი ს , საქმეს შეძლებისდაგვარად ახლოს მივდგომოდი" /71/. ეს "რა არის"
რომელიც აქ, ჩემი აზრით, ურიგოდ არ გვის, ფრაგას ბუნებრივ ქართულ იერს ანი-
ჭებს, მაგრამ მეტისმეტად ხშირად ხმარობს ამ გამოთქმას მთარგმნელი, და
იმის გამო, რომ ეს ორი პატარა სიტყვა საკმაოდ კოლორიტულ იერს ანიჭებს
წინადადებას, მისი ხშირი გამეორება ყურს ხვდება, ერთი და იმავე გამოთქმის
ამოჩემების, აქტიაცების შთაბეჭდილებას ტოვებს.

გვხვდება არაქართული კონსტრუქციების და წარმოების გავლენებიც. მაგ.
"...ხმელ-ხმელი, სერიოზული კაცი, ნაცვავილარი ს ა ზ ი თ, შავი, ცეცხლოვანი
თ ვ ა ლ ე ბ ი თ და ღირსეული, თავდაჭერილი ქ ც ე ვ ი თ". /3/. ამგვარ
შემთხვევებში ქართულ ენას არ უყვარს მოქმედებითი ბრუნვა. ფრაგა ასე უნდა
გასწორდეს: "...ხმელ-ხმელი, სერიოზული კაცი, სახენაცვავილარი, შავი, ცეცხ-
ლოვანი თვალები რომ ჰქონდა, და ღირსეული, თავდაჭერილი რჩევით გამოირჩეოდა".

სამწუხაროდ, თარგმანში არის ისეთი ფრაგები /და ეს მიმაჩნია თარგმანის
ყველაზე დიდ ნაკლად/, სადაც ძნელია აზრის გამოცანა. მაგ.:

1."ასე იყო თუ ისე, უკვე მაშინ პარტიულობის არასამართლიანი თვალსა-
ჩინოება ბიჭისათვის ძალზე უსიამოვნო და მავნეც კი გამოდგა" /47/.

2."განსაკუთრებული სიამოვნების წყაროთი, მაღურებლად ხან ერთ ბიჭს
მოვიწვევდით, ხან მეორეს და ამრიგად, თავდაპირველად ბევრი მეგობარი შევი-
ძინე"/48/.

3."როგორც საძაგელმა სისასტიკემ/ტარ უწყის საგვარი, ასევე გამოჰვლენია
ჩემი თავი მოთმინებიდან" /66/.

SOVLAB

4."ცხოვრება იმდენად მშვენიერია, რომ სრულიად განურჩევლად შეგიძლია მიგაჩნდეს, ვისი მადლია შენი ამ ქვეყნად მოვლინება..." /70/.

ამ ნაკლოვანებების გამოსწორება, ჩემი ღრმა რწმენით, ვლ.გარიძისათვის არ წარმოადგენს დიდ ხიძნელეს, თუკი იგი ეკონომიურად გამოიყენებს თავის ძალებს, ნიჭს, თუკი მოუფრთხილდება და არ გაფანტავს თავის შემოქმედებით ენერგიას.

ლევან ქრელაშ

SOVLAB